



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მთისკალთის მღვიმეები

მთისკალთის მღვიმეები, მდებარეობს სოხუმის მუნიციპალიტეტის სოფ. მთისკალთის ჩრდ-ით, მდ. მთისუბნისწყლის (აღმ. გუმისთის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. დამრეც ფერდობზე, ზ. დ. 565-595 მ-ზე ბზით დაბურულ ტყეში. მთისკალთის I მღვიმის შესასვლელი იხსნება ზ. დ. 565 მ-ზე. მღვიმის ჭერი მნიშვნელოვნადაა დანაპრალებული. გათხელებული თალი ბევრგან ჩანგრეულია, მაგრამ მღვიმეში დღის შუქი იჭრება, რაც მიუთითებს, რომ მღვიმე ნგრევის სტადიაშია. საინტერესოა ნაირფერი სტალაქტიტებით მდიდარი ბოლო დარბაზი, მიკვლეულია მღვიმური ოლითები და პიზოლითები, კლასიკური ინკრუსტაციული ფორმები, რ-ებიც სხვა მღვიმეებისაგან განსხვავებით მშრალ ორმოებშია ამოზიდული. ნაკადი, რ-მაც ეს მინერალები წარმოშვა, დიდი ხნის დამშრალია, შედეგად ზოგიერთი მათგანი ფსკერთანაა შეზრდილი. იშვიათი სტალაქტიტური ფორმებიდან აღსანიშნავია ანემოლიტები (დაგრეხილი და დაღუნული ფორმებით), კარგადაა გამოხატული ექსცენტრული სტალაქტიტები - ჰელიქტიტები და ნაოჭა სტალაგმიტები. მღვიმე, რ-ის ჯამური სიგრძეა 335 მ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში დახშული იყო. ნაკადებმა გადარეცხა კირქვის თხელი ფენები, ხოლო სიღრუის თავზე წარმოიშვა, ჭების, კარსტული ხიდებისა და ღია ნაპრალების სისტემა, რამაც შესაძლებელი გახადა მღვიმის გახსნა.

მთისკალთის II მღვიმის შესასვლელი I მღვიმის მახლობლად, ზ. დ. 578 მ სიმაღლეზე იხსნება. საწყისი მღვიმე შედგება ერთი „სტალაქტიტოვანი“ დახრილფსკერიანი დარბაზისგან, რ-იც სწორხაზოვნად მიემართება აღმ-ისაკენ. დარბაზის ფსკერი ნანგრევებითაა მოფენილი და სტალაგმიტური ნალვენთების სიუხვით გამოირჩევა. დარბაზის მშრალ კოროზიულ ორმოებში შორეულ გეოლ. პერიოდში წარმოქმნილი მღვიმური ოლითები და პიზოლითებია წარმოდგენილი. მღვიმის ეს იშვიათი კონკრეციები უმეტესად თავისუფალ მდგომარეობაშია შემორჩენილი, თუმცა გვხვდება ფსკერთან შეზრდილი ეგზემპლარებიც. კალციტოვანი ნალვენთები უხვადაა დარბაზის შემადგენელ

ადგილებში. მთისკალთის III მღვიმის შესასვლელი II მღვიმის მახლობლად, 20-25 მ-ით მაღლა, ზ. დ. 595 მ სიმაღლეზე მდებარეობს. მისი ვიწრო შესასვლელი სწრაფად ებმის ვრცელ დარბაზს, რ-ის მშრალი კოროზიული ორმოები სავსეა პიზოლითური და სფერული მოგლუვებული კონკრეციებით. უხვადაა წარმოდგენილი სტალაქტიტების, სტალაგმიტებისა და სტალაგნატების მწკრივები, რ-ებიც ძირითადად ნაპრალების გასწვრივაა წარმოქმნილი.

მ.მ-ის წარმოქმნა ძირითადად უკავშირდება დროებითი ნაკადების ჩადინებას.

კ. ნიქარიშვილი
